პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 4 თებერვალი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

№ 26 (714) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილებათა ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## პარტიის წევრთა მომავალ გადასინჯვისათვის.

ამ ახლო ხანში დაიწყება ჩვენი პარტიის არა პროლეტარული ნაწილის გადასინჯვა.

კომუნისტური პარტია დროგამოშვებით აწარმოებს თავისი რიგების ღენერალურ დათვალიერებას და თავის წრიდან ერეკება ყველა მავნე და მისთვის უცხო ელემენტებს.

ეს მეტის მეტად საჭიროა მმართველი პარტიისათვის, ვინაიდან მისი რიგებში ეჭრებიან ისეთი პირები, რომლებსაც არავითარი საერთო არ აქვთ პარტიასთან და რომლების მიზანს შეადგენს პარტიის გამოყენება თავისი პირადი ინტერესების სასარგებლოთ. ცხადია პარტია რაც შეიძლება ადრე უნდა განთავისუფლდეს ასეთ ელემენტებისაგან, ვინაიდან ისინი თავისი არა კომუნისტური მოქმედებით და საქციელით ხელს უწყობენ პარტიის რიგების შესუსტებას და მის ავტორიტეტის დაცემას. გარდა ამისა კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია თავის რიგებში ითმინოს ისეთი წევრებიც, რომლებიც „ნეპის“ გამხრწნელ გავლენის ქვეშ მოექცნენ და წვრილ ბურჟუაზიული სულისკვეთებით გაიჟღენთენ. ერთი სიტყვით პარტიამ თავიდან უნდა მოიცილოს ყველა ის, ვინც მერყეობს, ვინც ქანაობს, ვინც ვერ იჩენს რევოლიუციონურ სიმტკიცეს, ვინც სწყდება მშრომელთა მასას და ხდება მეშჩანობის მსხვერპლი.

როგორც ზევით ვსთქვით მომავალი გადასინჯვა ეხება პარტიის არა პროლეტარულ ელემენტებს, რადგან უმთავრესად პარტიის ეს ნაწილი წარმოადგენს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებების გავრცელებისათვის მეტად ნაყოფიერ ნიადაგს.

წითელ ჯარში გადაშინჯული იქნებიან პოლიტ-ორგანოებში და შტაბებში მომუშავე კომუნისტები; აგრეთვე სამხედრო და სამხედრო პოლიტიკურ სკოლების კურსანტები. წითელ-არმიელთა უჯრედებზე გადასინჯვა არ ვრცელდება.

მომავალ გადასინჯვას აქვს აგრეთვე სხვა მიზანი. მან უნდა გამოარკვიოს რამდენათ სწორად მუშაობს ესა თუ ის პარტიის წევრი და კომუჯრედი. ასეთია მოკლედ მომავალ გადასინჯვის ამოცანები.

მის ნაყოფიერ მსვლელობისაგან მნიშვნელოვანად დამოკიდებულია ჩვენი პარტიის განმტკიცება და გაძლიერება.

ამიტომაც ჩვენმა ქვეითა ორგანიზაციებმა, და კერძოთ თითეულმა პარტიულ ამხანაგმა დიდის ყურადღებით უნდა მიეპყრან გადასინჯვას და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ გამსინჯავ კომისიებს მათზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო. ვალდებულების წარმატებით შესრულებაში.

წარსული პარტწმენდის მაგალითებმა დაგვანახეს ჩვენ თუ რამდენათ ამაგრებს და ამტკიცებს პარტიას მისი რიგების გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან. თითეული პარტიული წევრი, რომელიც მიაწვდის ამა თუ იმ მასალას გამსინჯავ კომისიას ვალდებულია ყოველთვის გამოდიოდეს არა პირადი ინტერესებიდან არამედ პარტიის კეთილ დღეობის ინტერესებიდან

არც ერთმა კომუნისტმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მის პირველ და მთავარ მოვალეობას შეადგენს პარტიის მთლიანობის, მისი ძლიერების და სიმტკიცის ხელის შეწყობა. განსაკუთრებით კი ამ ვალდებულების შესრულება საჭიროა დღეს, როდესაც არ გვყავს ამხ. ლენინი.

მომავალი პარტ გადასინჯვის მიზანია—კომპარტიის რიგების მეტი განმტკიცება—ხელი შეუწყოთ ყოველმხრივ მის ნაყოფიერად ჩატარებას.

## იაპონიაში საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ.

## იაპონიის ვაჭარ-მრეწველნი ამოძრავდენ.

იაპონიის სავაჭრო და სამრეწველო კამპანიები (ამხანაგობანი) გაცხარებით იმუშავებენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთი-ერთობის გეგმას. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს განზრახული აქვთ შეკავშირდენ ერთ დიდ სინდიკატში, რათა ამ გზით მეტი სარგებლობა გამოიტანონ საბჭოთა კავშირთან გამართულ ვაჭრობისაგან.

## ამხ. კარახანის სიტყვა პეკინის უნივერსიტეტში.

პეკინის უნივერსიტეტში ამხ. კარახანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის ხსოვნისადმი. ამხ. კარახანი შეეხო ჩინეთის მდგომარეობას და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას აღმოსავლეთთან და კერძოდ ჩინეთთან.

## სრულიად ჩინეთის კონფერენცია.

1-ლ თებერვალს ჩინეთში გაიხსნა კონფერენცია, რომლის მიზანია ჩინეთის ხელისუფლების გადახალისება.

კონფერენციის თავმჯდომარემ დუან-ცზი ჩჟუიმ აღნიშნა ის წამება, რომელიც განიცადა ჩინეთმა 14 წლის განმავლობაში.

დღეს ჩინეთის მდგომარეობა მეჭრთამე ადმინისტრაციის მოშორებით უნდა გაუმჯობესდეს.

## სრულიად ჩინეთის კონფერენციის გარშემო.

უკანასკნელი რადიო-ცნობები კვლავ ჩვენ ყურადღებას აპყრობენ ჩინეთისაკენ.

რადიოს გადმოცემით იქ გაიხსნა ეროვნული კონფერენცია, რომლის მიზანს შეადგენს ხელისუფლების გადახალისება. როგორც ამას წინად აღვნიშნეთ ამ კონფერენციის მოწვევის გარშემო დიდი დავას ჰქონდა ადგილი ჩინეთის ორ პოლიტიკურ მიმართულებათა შორის.

პირველი ჯგუფს მეთაურობდა ღენერალი ჩჟან-ზოლინი, ხოლო მეორეს—რევოლიუციონური პარტია გომინდანი. მას შემდეგ რაც დამარცხებული იქმნა ინგლის-ამერიკის მოსარჩლე ღენერალი უპ ეი-ფუ გამარჯვებულთა წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ძალაუფლების ფორმის საკითხი. და აი აქ დაეტაკა ერთი მეორეს ორი ინტერესი.

ჩჟან-ზოლინი ჩრდილოეთი ჩინეთის ბრძ ნებელი მოითხოვდა ისეთი ეროვნული კონფერენციის მოწვევას, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებდენ არა ჩინეთის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დამცველნი, არამედ იაპონიის იმპერიალიზმის ერთგული ლაქიები.

გომინდანის პარტია კი ცნობილი რევოლიუციონერი სუნ-იატ-სენის მეთაურობით სასტიკად ილაშქრებდა ჩჟან-ზოლინის შავი ზრახვების წინააღმდეგ და მოითხოვდა კონფერენციის მოწვევას „ჩინეთის საუკეთესო ხალხისაგან,“ რომლებიც ნამდვილად დაიცავდენ ჩინეთის დამოუკიდებლობას და შეაყენებდენ ისეთ მთავრობას, რომელიც მართლადაც გამოხატავდა ჩინეთის მასების სულისკვეთებას და ინტერესებს.

და აი კონფერენცია გაიხსნა. ჩვენთვის საინტე ესოა ვინ გაიმარჯვა? რომელი მხარე ხელმძღვანელობს კონფერენციას. სამწუხაროთ რადიო გადმოგვცემს, რომ კონფერენციის ბედიღბალი ხელში ჩაუგდია ჩჟან-ზოლინსა და მის მოსარჩლეებს. ჩინეთის მასების სათაყვანებელი ბელადი კი სუნ-იატ-სენი შეპყრობილია მძიმე ავადმყოფობით და მიჯაჭულია სარეცელზე. იმავე რადიოს გადმოცემით გომინდანის პარტია არ ღებულობს მონაწილეობას კონფერენციაზე, ვინაიდან მის მომწვევმა მთავრობის თავმჯდომარე დუან-ცზი-ჯუმ არ დააკმაყოფილა სუნ-იატ-სენის მოთხოვნა პროფკავშირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ კონფერენციაზე.

ამნაირად ხსენებული კონფერენცია ვეღარ გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც ამყარებდა მასზე ჩინეთის ხალხი.

მას დაეპატრონა ისეთი ხალხი, რომლებიც მოწადინებული არიან ჩინეთი გახადონ იაპონიის იმპერიალიზმის საწველ-ფურად.

მაგრამ ჩინეთის მრავალ ტანჯულმა ხალხმა ბევრი რამ შეისწავლა ამ ათეული წლის განმავლობაში. ასე რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს ჩინეთის მშრომელთა მასები სულ მოკლე ხანში, მიუხედავათ სხვა და სხვა იმპერიალისტების და მათ მოსარჩლეთა ხრიკებისა, მაინც მიაღწევენ თავის მიზანს—თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

—მ.

კომინტერნის აღმასკომის წევრის ბოკოვიჩის აზრით სამხ.-სლავიასა ბულგარეთსა და რუმინეთს შორის, დადებული საკავშირო ხელშეკრულება, მხოლოთ „გამოსაცდელი ბუშტის“ აშვებას მოგვაგონებს ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ.

(დეპეშიდან)



წით. არმიელი— გადაყვებიან, ნამდვილათ ამდენი ბუშტების ბერვას.

გომინდანის პარტიამ უარი განაცხადა კონფერენციაზე, მონაწილეობის მიღებისაგან. უარის მიზეზი ის არის, რომ დუან ცზი-ჟუიმ არ მიიღო წინადადება, რომელშიაც მოითხოვდენ ჩაბმული ყოფილიყვენ კონფერენციის მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები.

## სუნ-იატ-სენის ჯანმრთელობა გაუარესდა.

სუნ-იატ-სენის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა: ტემპერატურა (სიცხე) 39 გრადუსამდი ადის. მაჯის ცემა—140 წუთში. ავადმყოფი მეტად სუსტად გრძნობს თავს. კრიზისები ერთი-მეორეს მოსდევენ. ექიმები დაეჭვებულია ავადმყოფის გადარჩენაში.

დუან-ცზი ჩჟუი სხვა მინისტრებთან ერთად მივიდნენ სუნ-იატ-სენის სანახავად, მაგრამ ექიმებმა არ მისცეს მათ ნახვის უფლება.

## გამომახილი ამხ. კარახანის სიტყვაზე.

კარახანის სიტყვას განმარტებას უკეთებს მთელი პრესა.

გაზ. „ფორისტერ სტერნ ტაიმსი“ სცნობს კარახანის საბუთების სისწორეს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თავის პოზიციით კარახანს წარმატება ექნება არა მარტო კომუნისტებს შორის, არამედ მთელ ჩინეთის ინტელიგენციის შორის.

„კარახანის სიტყვებმა—ამბობს გაზეთი—შეარყიეს დიპლომატიური კორპუსის მთლიანობა. რომ ამერიკას განეხორციელებია ვაშინგტონის კონფერენციის რეზოლიუცია ჩინეთის მიმართ, ამით ის დაამტკიცებდა თავის გულწრფელობას. მაგრამ არსებითად კი მთელი ეს კონფერენცია გამოიხატა მარტო კინკლაობაში სახელმწიფოებს შორის.

## ცეცხლის-მფრქვევი მთის ამოხეთქა.

2 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, სოფელ მაღალქედის რაიონში, (აჭარისტანში) მდებარე მთამ დაიწყო ვულკანიური მოქმედება.

მთის ამოხეთქის ძალით ჰაერში მიჰქროდა ხეები, ქვები და მიწის ბელტები.

# დიდი სკანდალი გერმანიაში.

გერმანიაში დიდი პოლიტიკური სკანდალი წამოიჭრა, რომელმაც მთელი გერმანიის საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო.

სკანდალი გამოიწვია საბიუჯეტო კომისიის მიერ გერმანიის რეიხსტაგის გამოაშკარავებამ: გერმანიის მთავრობა მილიონიან თანხებს აძლევდა რურის მრეწველებს.

მსხვილმა და ქიმიურმა მრეწველობამ მიიღო 1924 წელში 645 მილიონი მარკა ზარალის ანაზღაურების სახით, რურში ეკონომიური ბრძოლის დროს.

ამ ფულების მიცემა საიდუმლოდ სწარმოებდა რეიხსტაგისა და საზოგადოებრივი აზრის გარეშე.

ეს ფულები გადაიხადა დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ამ ჟამად გადამდგარმა მთავრობამ.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ თანხის გადახდა სერიოზულად არღვევს პარლამენტის ძირითად უფლებებს, სახელდობრ: რეიხსტაგის საბიუჯეტო უფლებას.

# ჯერი პორტუგალიაზეა.

პორტუგალიიდან იუწყებიან, რომ პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს განზრახული აქვს პრინციპიალურად იცნოს საბჭოთა მთავრობა.

# კონგრესი პარიზის პროფკავშირთა საწარმოო გაერთიანების შესახებ.

კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია მსხვილი კოოპერატივების წინააღმდეგ, რომლებიც თავის მსხვილ ნაწარმოების ფაბრიკებში უარს ამბობენ ხელის მოწერაზე, რომელზედაც დასთანხმდნენ დუქნების მეპატრონეები.

გაცხარებული კამათი გაიმართა ახალი ტიპის კავშირის გეგმის გარშემო. მიღებულ იქნა კავშირის თანამდებობის პირთა ხელახალი არჩევნები. მიღებულ იქნა აგრეთვე მუხლი ახალი ტიპის კავშირის შესახებ.

# კომუნისტური კონტრ-მანიფესტაცია.

ლილში მოწყობილ ფაშისტურ მანიფესტაციის საწინააღმდეგოდ კომპარტიამ მოაწყო საწინააღმდეგო მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 10.000-ზე მეტი მშრომელი.

მიტინგზე ილაპარაკა საფრანგეთის კომპარტიის ბელადმა ვაიან კუტიურიემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ პროლეტარულ დისციპლინის დაცვისაკენ.

პოლიციამ დააპატიმრა სოციალისტი დელოსი, რომელმაც გაისროლა ხალხში.

# ლუიზა მიშელის საფლავთან.

პარიზის ახლოს, რევოლიუციონერ ლუიზა მიშელის საფლავზე თავი მოიყარა დიდძალმა (20.000) ხალხმა. გაიმართა ორი მიტინგი, სადაც ორატორებმა დაახასიათეს ლუიზა მიშელის რევოლიუციონური მოღვაწეობა. ორატორები მოუწოდებდენ პროლეტარულ გაერთიანებისაკენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

# არა ზავი, არამედ ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ნორვეგიის მთავრობამ მოიწვია სახელმწიფო კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობდენ მუშის დამქირავებლების ბანკის დირექტორების და კაბინეტის წევრების წარმომადგენლები. კომუნისტური პარტია და მუშათა კრებები გადაჭრით გმობენ ამ შემთხვევას როგორც სამოქალაქო ზავს.

# ლენინის დღე ნიუ-იორკში.

უორკერს პარტიამ მოაწყო ნიუ-იორკში ლენინის სახსოვარი საღამო, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცი.

სიტყვა წარმოსთქვა რუტენბერგმა და სხვა ორატორებმა.

# საფრანგეთის უარი ვატიკანის საელჩოზე.

საფრანგეთის პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ—აღრიცხვის გარშემო გამართულ კამათში, ყოფილმა მინისტრმა ლეიგმა ილაპარაკა ვატიკანთან კავშირის სასარგებლოდ.

რამოდენიმე ორატორის შემდეგ ილაპარაკა ერიომ კრედიტების შესახებ ვატიკანის საელჩოსათვის. კენჭის ყრის დროს გამოირკვა, რომ პალატა წინააღმდეგია მომავალში ვატიკანის საელჩოს შენახვისა.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ ღებულობს ცნობებს მაზრებში საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. შემჩნეულია, რომ არჩევნებში გადიან დიდი უმრავლესობა უპარტიო გლეხებისა და ქალები. თითქმის ყველა სათემო საბჭოებში შედიან ქალი დეპუტატებიც. სხვა და სხვა მაზრებიდან 3 თებერვლისათვის მიღებულ იქნა შემდეგი ცნობები:

**თელავის მაზრაში.**

დასრულდა არჩევნები შემდეგ თემებში:

— **ნაფარეულის თემი.** სათემო საბჭოში არჩეულია 35 დეპუტატი, აქედან 6 კომუნისტი და 7 ქალი.

— **ქვემო ალვანი.** არჩეულია სათემო საბჭოში 30 წევრი, აქედან 3 კომუნისტი და 2 ქალი.

— **ზემო ალვანის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 30 წევრი, 3 კომუნისტი და 2 ქალი.

**სიღნაღის მაზრაში.**

— **ზემო მაჩხაანში.** არჩეულია 40 დეპუტატი აქედან 6 კომუნისტი და 4 ქალი.

— **ქვემო მაჩხაანის თემი.** არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 27 დეპუტატი. აქედან 6 კომუნისტი და 4 ქალი.

— **მირზაანის თემი.** სათემო საბჭოში არჩეულია 53 წევრი. აქედან 10 კომუნისტი და 8 ქალი.

**ბორჩალოს მაზრაში.**

— **ქალ. შაუმიანში.** შაუმიანის საქალაქო საბჭოში არჩეულია 62 კაცი. აქედან 12 კომუნისტი და 12 ქალი.

— **სადახლოს თემი,** არჩეულია 30 წევრი. აქედან 1 კომუნისტი და 2 ქალი.

— **სარვანის თემი.** სათემო საბჭოში გავიდა 3 კომუნისტი და 5 ქალი. სულ აირჩიეს 30 დეპუტატი.

# სამნეო-დამხმარე კომისიები.

ახლო წარსულში ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო მთელი რიგი წერილებისა ს. დ. კ. მუშაობის შესახებ—ეს საკითხი სავსებით დამუშავებლად უნდა ჩაითვალოს 29 იანვარს გატარებული თათბირის შემდეგ, სადაც თათბირმა ნათლად გვიჩვენა, თუ როგორი მეთოდით სწარმოებდა მუშაობა აქამდე.

მომავალში ს. დ. კ. ამოცანას უნდა შეადგენდეს ცხოვრებაში გატარება თათბირზე მიღებულ რეზოლიუციისა და მის მიხედვით გარდაქმნა ს. დ. კომისიებისა. აქვე ვათავსებთ რეზოლიუციას.

**რეზოლიუცია.**

ტფილისის გარნიზონის ნაწილების სამნეო დამხმარე კომისიების თათბირმა მოისმინა რა მოხსენება დამხმარე კომისიების მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ აქნამდე მათი მუშაობა სწარმოებდა ყოფილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფების მეთოდებით.

აღნიშნული შეცდომების გასწორების მიზნით, თათბირი აუცილებლად სთვლის:

1. წითელ არმიელთა მთელ შემადგენლობას ვაიცნოს სამნეო დამხმარე კომისიის ამოცანები.

2. სამნეო დამხმარე კომისიის მუშაობა ჩამოყალიბებულ იქმნას გეგმების მიხედვით და მის წინაშე უნდა ისმებოდეს განსაზღვრული ამოცანები.

3. ს. დ. კ. მუშაობა აშენებული უნდა იყოს სამნეო ნაწილის ცალ-ცალკე დარგების გამოკვლევის საფუძველზე და დასახულ საკითხების დამუშავებაზე, სადაც მიზიდული უნდა იქმნას როგორც სამნეო დარგის მომუშავენი, აგრეთვე ყველა მსურველები და პირნი, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ს. დ. კ. (წინადადება სამნეო ნაწილის რომელიმე დარგის გაძლიერებისათვის.)

4. ს. დ. კ. არ უნდა მოჰკიდონ ხელი ერთ და იმავე დროს მრავალ წვრილმან ამოცანებს, უნდა აიღონ მხოლოდ ერთი განსაზღვრული ძირითადი ამოცანა და მხოლოდ მის შესრულების შემდეგ აიღონ შემდეგი.

5. სამნეო დამხმარე კომისიები მჭიდროთ უნდა იქმნენ დაკავშირებული სამნეო აპარატთან და ნაწილის სამხედრო კომისართან და უფროსთან, და არა გზით არ უნდა გახდენ სამნეო ნაწილის დამატებითი ორგანო, რომელიც ასრულებს სამნეო ნაწილის სხვა და სხვა წვრილმან დავალებებს (ქონის, კარტოფილის შესყიდვა და სხვა.)

6. გამოცდილების განაწილების მიზნით გაზეთ „კრასნი ვოინში“ და „წითელ არმიელში“, გაშუქებულ იქმნას ს. დ. კ. თვითეული მიღწევანი (აღნიშვნით, თუ როგორი წესით და რა გააკეთა).

7. გაძლიერებულ იქმნას ხელმძღვანელობა ს. დ. კ. პარტ. ორგანიზაციების მიერ, პარტბიუროს და პარტ-კრებებზე რეგულიარულად ს. დ. კ. მოხსენებების დასმით და მუშაობის შეფასების საშუალებით.

8. რომ მთელი შემადგენლობა ნაწილისს გაცნობილ იქმნას ს. დ. კ. მუშაობას, საჭიროა მათი მოხსენებები სისტემატიურად ისმებოდეს საერთო კრებებზე, ტარდებოდეს საუბრები ასეულებში (ესკადრონებში, ბატარეიაში) და აგრეთვე გამოყენებულ იქმნას კედლის გაზეთში და სხვა საშუალებები.

9. ს. დ. კ. ყველა წევრების მიერ შესწავლილი უნდა იქმნას დებულება ს. დ. კ. შესახებ (გამოცხადებულია საკავშირო რევსამხსაბჭოს ბრძანებაში № — 542 წარსულ წლის, ქართულ ენაზე დაგზავნილი აქვს ყველა ნაწილებს.)

# ამხ. ტროცკის შეცდომები ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

### 1923 წლის შემოდგომის დისკუსია.

(დასასრული.)

ბოლშევიკური პარტია ყოველთვის მთლიანი იყო და თავიდან იშორებდა ყოველგვარ ფრაქციებს და ჯგუფებს. ამიტომ მას კარგად შეეძლო რევოლიუციონურ მოძრაობისა და ქვეყნის ხელმძღვანელობა სხვა და სხვა მძიმე მომენტებში. ცხადია, ამხ. ტროცკის არა ბოლშევიკური აზრი უარყოფილ იქნა და თვით მასაც უნდა უარ ეყო ის.

მაგრამ მან უარყო თავისი აზრი მხოლოდ სიტყვით. საქმით კი ის ჩაუდგა სათავეში იმ ჯგუფს, რომელმაც დაიწყო ბრძოლა პარტიის შიგნით ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოს-ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. პარტიის შიგნით ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ მუდამ იბრძოდა ამხ. ლენინი.

ოპოზიცია ამხ. ტროცკის მეთაურობით სცდილობდა გავრცელებია უნდობლობა ცენტრალური კომიტეტისა და მთელი ხელმძღვანელ პარტიულ აპარატისადმი, რომელიც გამოიჭედა ჩვენს პარტიაში მრავალი წლების ბრძოლის განმავლობაში ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ეს ჯგუფივე სცდილობდა წაეჩხუბებია ერთმანეთზე პარტიის ძველი გამობრძმედილი და ახალი წევრები. ამხ. ტროცკი თავის წერილებში მლიქვნელურად ეფერებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას, სთვლიდა მას მთელი პარტიის საფუძლად მაშინ როცა მთელ პარტიულ მასას უნდა დეჭირა სწორება ძველი წევრების რიგებზე, განსაკუთრებით მის მუშურ შემადგენლობაზე.

და ბოლოს, რაც თავი და თავია, ამხ. ტროცკიმ და მთელმა ჯგუფმა კვლავ დაგვიმტკიცეს უცოდინარობა მუშათა და გლეხთა კავშირის სრული მნიშვნელობისა ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში.

1923 წლის დასასრულს აშკარა გახდა ის, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გაძლიერა თავისი ნაყოფიერი შედეგები. გაუმჯობესდა სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის მდგომარეობა.

მუშათა და გლეხთა კავშირი ამხ. ლენინის ძირითადი აზრი, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატების გამო განმტკიცდა.

ხოლო ამხ. ტროცკი და მისი ჯგუფი აცხადებდენ, რომ ქვეყანა იღუპება, რომ მუშათა კლასი გულგრილად უყურებს პარტიასო.

მათ ვერ შესძლეს რაიმე პრაქტიკულის თქმა თუ რა უნდა გაკეთებულიყო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ზოგი გვირჩევდა ზომას, რომელიც გვეწეოდა უკან სამხედრო კომუნიზმისაკენ, ხოლო ეს ნიადაგს უმზადებდა მუშისა და გლეხების კავშირის გაწყვეტას. ზოგი კიდევ ამბობდა, რომ საჭიროა, პირიქით, კიდევ უფრო დავუთმოთ კაპიტალისტებს, განსაკუთრებით უცხოეთისასო. თვით ამხ. ტროცკისაც არ ესმოდა-რა იყო საჭირო ჩვენი გლეხებისათვის, რომელიც ამ დროს ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა იმიტომ, რომ ფულის კურსი თანდათან ეცემოდა, ქალაქის საქონელზე ფასები იზრდებოდა, ხოლო პური იაფდებოდა და ის გლეხობა ვერ გრძნობდა თავის მეურნეობის მტკიცე მდგომარეობას.

ამხ. ტროცკი ამბობდა, რომ საჭიროა გეგმა ჩვენს მეურნეობაშიო და გვირჩევდა ამ გეგმას ქაღალდზე. ამ გეგმაში ამხ. ტროცკი მეტად ყალბად გვიხატავდა კავშირს ქალაქის მრეწველობისა და გლეხის მეურნეობას შორის. მან სრულიად გამოუშვა მხედველობიდან ის, რომ შეუძლებელია მრეწველობის აღდგენა, თუ მასთან ერთად არ იქნება აღდგენილი სასოფლო მეურნეობაც. შეიძლებოდა საუკეთესო გეგმის შედგენა ჩვენი მრეწველობისათვის, მაგრამ სულერთია არაფერი სარგებელი არ გამოვიდოდა აქედან გლეხობისათვის, რომელსაც არ შეეძლო რაიმე ეყიდა და ეწარმოებია სამეურნეო მუშაობა ფულის უქონლობის გამო. ამის გამო შეუძლებელი იქნებოდა თვით მრეწველობაც. მაშასადამე, ამ საკითხშიაც არ ესმოდა ამხ. ტროცკის, თუ რას უნდა დაყრდნობოდა მუშებისა და გლეხების კავშირი.

ჩვენ პარტიას ეს ესმოდა და ჩვენ გავატარეთ ფულის რეფორმა, რამაც გააუმჯობესა მუშებისა და გლეხების მდგომარეობა და საშუალება მოგვცა გამოგვემუშავებია უფრო ცხადი და პრაქტიკული გეგმა ჩვენი მუშაობისათვის.

ლენინის პარტიაში გაწევამ დაგვანახა, რომ მუშათა კლასი არ უყურებს გულგრილად ჩვენ პარტიას, არამედ პირიქით მას ესმის, რომ ჩვენ პარტიას სწორად მიჰყავს ახალი ცხოვრების აღმშენებლობითი მუშაობა მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძვლებზე.

ცხოვრებამ სრულიად დაგვანახა ამხ. ტროცკისა და მისი ჯგუფის შეცდომა და ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორე ჩვენი ცხოვრების ყველა დარგის ხელმძღვანელობაში. მე-XIII ყრილობამ დაჰგმო ამხ. ტროცკისა და მისი ჯგუფის მოქმედება.

ვ. სნეგირევი.
„კრ. ვოინი“




## ნუ თუ ვერავინ შეამჩნია?

პირველ ლეგიონში დაარსებულია ეგრეწოდებული ურ-
..ნოთა კუთხე, რომელიც შესაფერი სურათებით არის მო-
..თული. კუთხე მშვენივრად ემსახურება თავის დანიშნულებას.
..რად იმართება იქ ანტი რელიგიური საუბრები, რომელ-
.. მრავალი წითელ არმიელები ესწრებიან და აქტიურ მო-
..წილეობას ღებულობენ საუბარში.

ეს ყველაფერი კარგი. კუთხის მმართველი კომისია აქ
..ვის სიმაღლეზე სდგას, მაგრამ საკვირველია ერთი გარემო-
.., რომელიც არ უნდა დარჩენოდა შეუმჩნეველი მას. კუ-
..ეში ღმერთის, ქრისტესა და სხვა ხალხ.ს მტრებთან ერთ-
.. დახატულია ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთი ბე-
..ადთაგანი. რად ვერ შეამჩნია კომისიამ ეს როდესაც კუთ-
..ს აწყობდა?

ასეთი დაუდევრობა ყოვლად დაუშვებელია. დროა ეხლა
..ინც გამოასწორონ ეს. სიბნელის მოციქულებთან ერთად—
.. უნდა ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლის სურათს?

სიმართლის მოყვარული.

## უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლ..ს ცხოვრებიდან.

..ღნიშნულ სკოლას ნორმა-
..ურ ნიადაგზე აქვს დაყენებუ
.. თავისი მუშაობა. ამას ხე
..ს უწყობს კურსანტების მეტი
..ინტერესება. წერა-კითხვის
..ცოდინარი არც ერთი არ გვ-
..ვს. მაგრამ კითხვას გავარჯი
..ება უნდა—საამისო მასალაც
..ეპოება სკოლას, მაგრამ არა
..აქვს ბინა, რომ გავმართოთ
..მკითხველო.

**პოლიტ საათი.**

..ოლიტ საათი სისტემატიუ-
..ად მიმდინარეობს. ყოველ
..ლ ტარდება სხვა და სხვა
..ების გარშემო საუბარი.
.. მონაწილეობას ღებულო-
.. კურსანტები და შესაფე-
..ს კითხვა-პასუხს აძლევენ
..ლიტ ხელმძღვანელს.

**სანიტ საათი.**

..სანიტ. საათიც ტარდება
..ირაში ერთხელ ყოველ პარა-
სკევს. ამაში დიდი დაინტერე-
სებული არიან კურსანტები
და იციან თუ რა მნიშვნელო-
ბა აქვს სანიტ. საათს ადამია-
ნის ჯანმრთელობისათვის. საკ-
მაო კითხვებს აძლევენ სანიტ.
ლექტორს თუ რომელი ავათ-
მყოფობა სიდან ჩნდება და რა
მიზეზით. რასაკვირველია ამის
შესწავლა საინტერესოა რომ
გამოგვადგეს ცხოვრებაში, მით
უმეტეს სოფლათ დაბრუნების
შემდეგ, რადგან ექიმზე ცოტა
ოდნავ დაშორებული ვიქნებით
და ამისათვის საჭიროა ჩვენი
თავის ექიმები ჩვენ თვითონ
ვიქნეთ.

ამხანაგები ჩაბმული არიან
აგრეთვე სხვა და სხვა წრეების
მუშაობაში და ღებულობენ
სათანადო ცოდნას.

კურს. ს. ბუბაშვილი.

## ლექცია მალარიაზე.

2 თებერვალს, პირველი დი-
..ზიის ცენტრ-კლუბში, „სანიტ-
..ნათლების სექციის მიერ [გა-
..რთულ იქნა სანიტარული სა-
..მო-წარმოდგენა, რომელსაც
..ესწრენ ტფილისის გარნიზო-
..ში მდგომი ზოგიერთი ნაწი-
..ების „წითელ-არმიელები და
..მები, სხვა და სხვა დაწესე-
..ლება—ქარხნებიდან.]

..წარმოდგენის დაწყებამდე ექ.
..ომოურმა წაიკითხა ლექცია
..ლარიაზე (ციებ-ცხელება).

..მრავალი მაგალითების მოყ-
..ნით გააცნო დამსწრე „საზო-
..დოებას ხსენებულ „ავადმყო-
..ბის სხვა და სხვა სახე (კავ-
..იური და ტროპიკული), მა-
.. წარმოშობის მიზეზები, მა-
..ბლობა და „მათთან ბრძო-
..ს საშუალება...

..ლექცია მეტად „შინაარსიანი
აღმოჩნდა.

შემდეგ „სანიტ-განათლების
დრამ-წრემ დასდგა ინსცენიროვ
კა „გამოფხიზლება“ და პიესა
„მალარია“.

ამ ჟამად კლუბში კარგად
იყო დაცული წესიერება.

მხოლოდ სამწუხაროდ უნდა
აღინიშნოს, რომ ასეთ სასარ-
გებლო ლექციას ჩვეულებრივ-
ზე ნაკლები ამხანაგების რიც-
ხვი დაესწრო. საჭიროა ნაწი-
ლებისთვის დროზე შეტყობი-
ნება, აფიშის გარკვევით დაწე-
რა და ადრე გამოკვრა.

აქედან ორმოცი კაცი, წი-
თელ-არმიელები მეთაურნი და
პოლიტშემადგენლობა წაიყვა-
ნეს საოპერო თეატრში, სა-
დაც ნაჩვენებ იქნა კინო-სურა-
თი „გაახალგაზრდავება“.

ს—ნ

## მესამე ლეგიონის საქმიანობიდან.

..მესამე ქართულ ლეგიონში
..33 გაჩაღდა ყოველ გვარი
..მუშაობა. პირველად ძლიერ
..უდი ბინები გვქონდა, რაც
..ლს უშლიდა ჩვენს საქმიანო-
.., მაგამ ეს ნაკლიც მალე თა-
ვიდან იქნება აცილებული,
ქუთაისის აღმასკომის დახმარე-
ბის მეოხებით.

აღმასკომმა ლეგიონის ბინე-
ბის შესაკეთებლად გადასდო
2. 000 მანეთი. მუშაობა უკვე
დაწყებულია ამ მიმართულებით
და სულ მალე გვექნება სათა
ნადოთ მოწყობილი ბინები.

**სამხედრო მეცადინეობა.**

ამ წლის დასაწყისიდან სამ-
ხედრო მეცადინეობა დიდი ნა
ყოფიერებით მიმდინარეობს. პი-
რველად ძლიერ შეგვიშალა ხე-
ლი ერთი ადგილიდან მეორე-
ზე გადაყვანამ და საერთოდ რე-
ორგანიზაციამ, რაც ჩქარა იქნა
გამოსწორებული.

**პოლიტსაათები, წითელი კუთხეები და წერა—კითხვის შესწავლის საქმე.**

პოლიტსაათები სისტემატი-
ურად მიმდინარეობენ, კომპლე-
ქსიური მეთოდით. პოლიტხე-
ლები კარგად მომზადებული
გვყ ვს. სულ მალე, ჩვენი წი
თელ არმიელები მიიღებენ საკ
მაო განვითარებას პოლიტიკუ-
რად. ამის თავდებია მათი მე-
ყაითი მეცადინეობა.

ლეგიონში ჯერ—ჯერობით
არსებობს ექვსი წითელი კუთ-
ხე. ყველანი მშვენივრად არიან
მოწყობილი. ლიტერატურით,
ლოზუნგებით და პლაკატებით
ისინი უზრუნველყოფილი არი-
ან. საუბრები სისტემატიურად
ტარდება კუთხეებში სხვა და
სხვა საკითხებზე. ლეგიონში სამ
ხედრო კუთხეც გვაქვს მოწ-
ყობილი.

წერა კითხვის შესწავლის სა
ქმე კარგად არის დაყენებული.
ყველა ასეულებში გაცხარებუ-
ლი მუშაობაა ამ მიმართულებით,
არმიელები ძლიერ მონდომე-
ბული არიან წერა-კითხვის შე-
სწავლაზე. სკოლისათვის ლეგი-
ონს დაუთმეს ცალკე ბინა. სულ
მალე ჩვენს ლეგიონში არ გვე-
ყოლება არც ერთი წერა-კით-
ხვის უცოდინარი არმიელი.

**სამხედრო სანიტარული ნაწილების მუშაობა.**

სანეთ ნაწილის საქმიანობა
ლეგიონში დამაკმაყოფილებ-
ლად ..ხდ.. ჩაითვალოს. ნაწი-
ლი დიდ ყურადღებას აქცევს
არმიელებს, რომლებიც ყვე
ლაფრით დაკმაყოფილებული
არიან.

ტანსაცმელი თავის დროზე
დაურიგდათ. ამ არაჩვეულებ-
რივი ზამთრის დროს, ლეგი-
ონს საკმაოდ თბილი ბინები
აქვს. სურსათ სანოვაგის მიწო
დების მხრივ ყველაფერი თავის
რიგზეა. წითელ არმიელებ-
თავის რიგზე ეძლევათ ყვ ლა-
ფერი. სადილები ძლიერ კარგი
მზადდება, მხოლოდ კარგი იქ-
ნება ჩვენი სამნეთ ნაწილი
ყურადღებას მიაქცევდეს სამზა-
რეულოს, სადაც ცემენტის ია-
ტაკზე საშინელი სიბინძურეა. სა-
ჭიროა ფიცრები მოეგოს ზედ და
ამ ნაკლსაც ბოლო მოეღება. ისე
კი ლეგიონში კარგად არის და-
ცული სისუფთავე. საწოლები
თავის დროზე და სუფთა ურიგ-
დება არმიელებს. აბანოშიდაც
სისტემატიურად დაგვყავთ,
რაც სანიტ ნაწილის დამსახურე-
ბათ უნდა ჩაითვალოს.

**კულტურული მუშაობა.**

კლუბში მუშაობა ვერ არის
დ მაკმაყოფილებელი ლეგიონ-
ში, რადგან ძლიერ გვიშლის
ხელს ის გარემოება, რომ არა
გვაქვს საკუთარი კლუბი. ამის
გამო გვიხდება სიარული ერთი
ადგილიდან მეორეზე. ეს კი მუ-
შაობის ნორმალურ მსვლელო-
ბას აფერხებს. საჭიროა მოგვე-
ცეს კლუბისათვის ერთი შე-
ნობ.

გვაქვს სამკითხველოც. პირ-
ველ ხანებში თითქმის სრულიად
არ მოგვეპოებოდა ლიტე-
რატურა, მაგრამ ამ ჟამად ბოლო-
მად გადმოგვიგზავნა წიგნები
პირველმა დივიზიამ. ჟურნალ-
გაზეთები თითქმის ყველა მო-
გვდის. მკითხველები ბევრი ყავს
როგორც მეთაურ-პოლიტ, ისე
წითელ არმიელთა შემადგენ-
ლობიდან, ლეგიონში დაარსე-
ბულია აგრეთვე შემდეგი წრეე-
ბი: ლიტერატურული, დრამა-
ტიული, სასპორტო, ანტი რე-
ლიგიური, სამხკორთა და მო-
მღერალთა წრეები. ყველა ამ
წრეებში გაჩაღებულია მუშა-
ობა გარდა ორისა (სამხკორთა
და მომღერალთა). რომლებიც
ჯერაც არ ამოქმედებულან.

**პარტსკოლა.**

ლეგიონს აქვს აგრეთვე პარტ-
სკოლა, სადაც მეცადინეობა
სწარმოებს კვირაში ორჯერ.
მეცადინეობა პარტიული ამხა-
ნაგების გარდა მრავლად ესწრე-
ბიან უპარტიო წითელ არმიე
ლებიც.

მეთაურთა და პოლიტშემა-
დგენლობის მეცადინეობასაც
სათანადო ყურადღება აქვს მი-
ქცეული, რომელსაც დათმობი-
ლი აქვს კვირაში ორი დღე.
მთელი პროგრამა უნდა იქნეს
განვლილი აპრილის დამლევამ-
დე.

პარტკორი ა. ქკადუა.

## ჩვენი ტერნაწილების ცხოვრებიდან.

### მეოთხე ლეგიონის ცხოვრებიდან.

მეოთხე ქართულ ტერ-ლეგიონი თან დათანობით უმჯო-
ბესდება. ამუშავდა მთელი ძალები. წითელ არმიელები და
მეთაურ-პოლიტშემადგენლობა ერთმანეთს ეცილებიან ლეგი-
ონის საქეთილდღეოდ გამართულ მუშაობაში.

ამ ჟამად ლეგიონში ამუშავებულია ყველა კულტურული
და პოლიტიკური ხასიათის წრეები. კლუბიც თავის სიმაღ-
ლეზე სდგას.

ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა ენერგიულად ხელმძღვა-
ნელობს წითელ არმიელების განვითარების საქმეს. ყველა
წრეებს თითქმის ეს ამხანაგები ხელმძღვანელობენ.

იმედი გვაქვს, რომ ასეთი ერთსულოვანი დაინტერესე-
ბით და საქმიანობით, ლეგიონი სულ მალე სათანადო ად-
გილს დაიჭერს სხვა ჩვენს ქართულ ლეგიონებთან ერთად.

ამის თავდებია მეთაურთა და წითელ არმიელებს შორის
ლეგიონში არსებული ამხანაგური დამოკიდებულება.

სამხკორი სუჯუნელი.

## როგორ ვსწავლობთ და ვმუშაობთ.

**ქართულ მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდი.**

მიუხედავად, იმისა, რომ ჩვე-
ნი უმწყობრო გუნდი აკეთებს
სკოლის საქმეებს და ყოველ-
თვის მუშაობაშია გართული,
სამეცადინო საათებს მაინც არ
ვაკლდებით და დანიშნულ დრო-
ოს ყველა ვიკრიბებით სკო-
ლაში.

სულ რამოდენიმე თვის გან-
მავლობაში ჩვენი გუნდის არ-
მიელებმა დიდ წარმატებას მია-
ღწიეს კულტურულად განვითა-
რების საქმეში.

წითელ არმიელების უმეტე-
სი ნაწილი უცოდინარი და სრ-
ულიად შეუგნებელი მოვიდენ
გუნდში. ეხლა კი თითქმის ყვე
ლამ შეისწავლა წერა-კითხვა.

პოლიტიკურად მათი მომზა-
დების დონეც საკმაოდ იწევს
მაღლა. ამხანაგები იმდენად კა-
რგად მოემზადენ, რომ მათ ყო-
ველ კრებაზე შეუძლიათ გამო-
ვიდენ და განუმარტონ სოფ-
ლად გლეხებს, თუ რა არის
საბჭოთა ხელისუფლება და რა
მიზნები აქვს მას დასახული.

ვინ იყო ლენინი, რა არის
წითელი არმია და სხვა.

**ლენინის კუთხე.**

გუნდმა გადასწყვიტა საკუ-
თარი ლენინის კუთხის მოწ-
ყობა. ჩვენი პოლიტ-ხელი შე-
უდგა ამ საქმის მოგვარებას,
რომელშიდაც ენერგიულ დახ-
მარებას უწევდა ასეულის უფ-
როსი. გაჩაღდა მუშაობა.

20 იანვრისათვის უკვე გვ-
ქონდა ლამაზად მოწყობილი
ლენინის კუთხე. ამ ჟამად ყო-
ველი შესვენების დროს ამ კუ-
თხეში ვსწავლობთ ლენინიზმს
და ვცდილობთ დიდი ბელადის
დიადი საქმის დაგვირგვინებაში
ჩვენც შევიტანოთ ჩვენი წვლი-
ლი.

უმწყობროელი.

## მოგვეცით მაზარები.

არტ-ლეგიონის გუნდში ვიმყოფებით სამი წითელი არ-
მიელი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიგვიღია მაზარები. ბევ-
რჯელ მივმართეთ სამნეთ ნაწილის გამგეს, მაგრამ მაინც არ
იქნა და ვერ მივიღეთ. მართალია ჩვენ იმას არ ვტყვით, რომ
ვითომც ცეიხჰაუზში იყოს და ჩვენ არ გვაძლევდენ, მაგრამ ის
კი შეუძლიათ, რომ იზრუნონ ჩვენზე და პირველყოვლისა
დაგვაკმაყოფილონ ჩვენ, ვინაიდან ფურგუნებზე მუშაობა გვი-
ხდება დილიდან საღამომდის სიცივეში ხალათის ამარათ.

მოგვაქციეთ ყურადღება, ვისაც ეს გეხებათ.

წ.-არ. მიხო საწირელი.

## პოლიტ-ლატარეია.

30 იანვარს საღამოს საარტილერიო ლეგიონის კლუბში
გაიმართა პოლიტ-ლატარეია.

ლატარეიაში მიიღეს მონაწილეობა 1—2—3—4-ხე ბა-
ტარეიებმა და უნცროს მეთაურთა არტ. სკოლის კურსან-
ტებმა.

გათამაშებამდე ლეგიონის კლუბის გამგემ მოკლეთ გაა-
ცნო წითელ არმიელებს პოლიტ-ლატარეის მნიშვნელობა,
რის შემდეგ დაიწყო შეკითხვის მიცემა წითელ არმიელები-
სადმი.

ლატარეის მომწყობი კომისია ძლიერ კმაყოფილი დარ-
ჩა ამ ლატარეიიდან, რადგან წითელ არმიელების უმრავლესო-
ბა საკმაოდ სწორ პასუხს იძლეოდენ.

## ამბები სოფლებიდან.

**ხიდი სოფლათ.**

სოფ. დერჩში (ლეჩხუმი) სა-
მაზრო აღმასკომის ხელმძღვანე-
ლობით აშენებენ ხიდს. ხიდი
დამთავრდება ზაფხულისთვის.

**სოფელ კავთისხევში.**

სოფ. კავთისხევის აღმასკომმა
გადასწყვიტა ადგილობრივ შეა-
კეთოს საექიმო პუნქტის შენო-
ბა.

**საკვების სიმცირე.**

შორაპნის მაზრაში გლეხო-
ბა განიცდის საქონლის საკვე-
ბის დიდ სიმცირეს. განსაკუთ-
რებით ეს შესამჩნევია მარელი-
სში, ხარაგოულში, საჩხერეში,
ჩხარში და სხვაგან.

**სასოფლო მილიციის წმენდა.**

ლეჩხუმის სამაზრო აღმას-
კომმა ჩაატარა მაზრის ფარგ-
ლებში მილიციის არა საიმე-
დო ელემენტებისაგან წმენდა.

**დიდი თოვლის გამო.**

გორის აღმასკომმა გამოსცა
სავალდებულო დადგენილება
სახლების სახურავების სისტემა-
ტიურათ გადათოვლის შესახებ,
რომ დიდმა თოვლმა არ დაა-
ზიანოს შენობები.

**თეატრი ცაგერში.**

ლეჩხუმის აღმასკომმა გადა-
სწყვიტა იჯარით გასცეს ადგი-
ლობრივი თეატრის შეკეთების
საქმე.

**სასოფლო ტეხნიკუმებისათვის.**

საქ. სახალხო კომისართა სა-
ბჭომ გადასდო 15.000 მანეთი
ზუგდიდის, ამბროლაურის, მე-
კუზანის, ლანჩხუთის და ახალ-
სენაკის სასოფ. სამ. ტეხნიკუმე-
ბის საჭიროებისათვის.

ყველა კარგად მოპასუხე ამხანაგები დაჯილდოებული იქნენ საჩუქრებით.

პოლიტ-ლოტარეიამ დიდი ინტერესი გამოიწვია ლეგიონის ბატარეების შემადგენლობას შორის.

ახლო მომავალში ვფიქრობთ მოვაწყოთ ასეთივე ლოტარეია უფრო ფართო მასშტაბით, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ საარტილერიო ლეგიონის არმიელების პოლიტიკურად მომზადების დონე.

სამხედრო ნამკაშურ-სპირელე.

# ᲡᲐᲛᲜᲔᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

## ᲡᲐᲛᲜᲔᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ.

ჩვენმა სამნეო მუშაკების მომეტებულმა ნაწილმა არც კი იცის რა მნიშვნელობა აქვს გეგმას. ყველასათვის ცხადია, რომ უგეგმოდ არც ერთ სავაჭრო ანუ სამრეწველო საქმეს არ შეუძლიან იარსებოს და უიმისოდ არც ერთი დარგის მეურნეობა არ აშენდება.

ჯარის ნაწილების სამწყობრო სწავლა სწარმოებს განწესებული გეგმით, მაგრამ ბევრ ერთეულების სამნეო დარგში კი გეგმა ჯერაც არაა შემოღებული.

გეგმებს უნდა ადგენდეს ხელმძღვანელი დაწესებულებები და დიდი უფროსები კი არა, არამედ დაბალი მოსამსახურენი, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ სამნეო დარგის საქმეს, რათა ეს უკანასკნელნი შაეჩვიონ მეტი ინიციატივით და ფართე თვალსაზრისით მუშაობას.

უფროსმა სამნეო მუშაკმა უნდა გადაათვალიეროს და შეასწოროს გეგმა—ხოლო ერთეულის უფროსმა კი—დაამტკიცოს.

მაგალითად: ასეულის უფროსის თანაშემწე ადგენს თავის სამნეო გეგმას (კმაყოფაზე, ნივთების დაკერებაზე და სხვ.) რომელიც უნდა გადაათვალიეროს და შეასწოროს ერთეულის თავის თანაშემწემ (სამნეო დარგში) და დაამტკიცოს ერთეულის უფროსმა.

ჯარის ნაწილის უფროსის თანაშემწე სამხედრო დარგში—თავის რიგზე, ადგენს მთელი ლეგიონის გეგმას, რომელსაც ათვალიერებს და ასწორებს დივიზიის მომარაგების უფროსი—და ამტკიცებს ერთეულის თავი.

აქ შეიძლება დაიბადოს საკითხი, როგორ, განა უფროსი პირი გადაათვალიერებს, შეასწორებს და უმცროსი კი ამტკიცებს? არ იქნება ეს უფროსის ავტორიტეტის შელახვა? სრულებითაც არა.

აქ მხედველობაში მიღებულია ის გარემოება, რომ თავის ერთეულის სამნეო დარგზე იურიდიულადაც და ნივთიერადაც პასუხს აგებს ერთეულის უფროსი, და მეორეც—სამნეო დარგის მუშაობის გეგმა უნდა შედგენილ იქნას სამწყობრო მეცადინეობის გეგმასთან შეთანხმებით (საკარვოდ გასვლა, მეცადინეობა მინდორში, ალლუმები და სხვ.).

ამიტომაცაა რომ ერთეულის უფროს აქვს მინიჭებული უფლება გეგმის შეცვლისა და დამტკიცებისა მაშინაც კი, როდესაც იგი წინასწარ განხილულია და შესწორებულია უფროსი სამნეო მუშაკის მიერ აქ, რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში უფროსი სამნეო მუშაკის მიერ. გეგმის მოწონება სადირექტივო განკარგულებებთან, რომლებიც სავალდებულოა აასრულონ ყველა სამწყობრო უფროსებმა. თუ ის განკარგულებები კანონიერი და საფუძვლიანია.

სამნეო გეგმა უნდა დგებოდეს ზამთრის და ზაფხულის სეზონებისთვის: 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე და პირველ აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე, ე. ი. სწორედ იმ ვადებში, როდესაც იწყება საოპერაციო წლის ნახევარი წლები და ამას გარდა—ერთეულის სამნეო დარგის ცხოვრება ზამთარში და ზაფხულში მიმდინარეობს სხვა და სხვა პირობებში.

გეგმის კონკრეტიულ ფორმებზე მოვილაპარაკოდ შემდეგ წერილში.

ს. შაკუნი.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ.

1) ამხ. ხიბლეულს. გაზეთი „წითელი არმიელის" № 16 (704) ბრძოლა ვირთაგვებთან არ შედის მომარაგების ფუნქციაში. ამაზე უნდა იზრუნოს სამნეო ნაწილის გამგემ ამხ. ხიბლეულმა, მას აქვს ახლო დამოკიდებულება სამნეო დარგთან და უნდა ეცადოს, რომ ვირთაგვებმა თითონ ის არ შეჭამონ. უნდა შეძენილ იქმნას ხაფანგი და ხიბალი.

2) ამხ. გრ. ბარათაშვილს. გაზ. „წით.—არმ." № 24 (712). უკმაყოფილობა 6 ტერლეგიონში (საიდანაც იღებს არტლეგიონი პურს) გამომცხვარ პურზე იყო განცხადებული არტლეგიონის მნის მიერ მომარაგების უფროსისათვის. ახლა ეს საკითხი მოწესრიგებულია, რადგან 1 თებერვლიდან არტლეგიონი პურით კმაყოფაზე გადაყვანილია ქართულ მეთაურთა სკოლის პურის საცხობში, სადაც ცხვება კარგი პური.

3) ამხ. ტი-ხი-ძეს. გაზ. „წითელ-არმ." № 24 (712) თქვენ მიერ აღნიშნულ ნაკლულევანებაზე მიქცეულია ყურადღება არტლეგიონის მნისა, სათანადო ზომების მისაღებად.

# ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

## ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ.

(გაგრძელება).

### ავადმყოფობის ნიშნები.

თურქულით ავადმყოფობას ახასიათებს შემდეგი თანდათანობით ნიშნები: მომატებული სიცხე (40°). ჭამის მადის დაკარგვა, წველის საგრძნობლად შემცირება, რძის გაწყალიანება; უმეტეს შემთხვევაში ხბოს მოგდება; პირის ღრუს ლორწოიანი გარსის სიწითლე და მტკივნეულობა, ნაცოხრის ამოუღებლობა, პირიდან ძაფებივით ჩამოწოწიალებული ლეზვის (ნერწყვის) დენა; ენის, პირის, ჩარბების და ლოყების ლორწოიან გარსზე მუხუდოს მარცვლის სიდიდიდან დაწყებული ტყის თხილის ოდენა გამსჭვირვალე და ყვითელი ფერის სითხით სავსე ბუშტების გაჩენა, პირის ტკივილის გამო ცხოველის მიერ ხმელი და მაგარი საკვების ჭამის შეწყვეტა, ცოტა საკვების ჭამა, ზევით ნაჩვენები ბუშტების მიერ ბოლოს მღვრიე სახის მიღება, მათი თავის თავად გასქდომა, იარებად გადაქცევა და 1-2 კვირაში სავსებით მორჩენა.

თურქულიან საქონელს ზევით აღწერილ ნიშნებთან ერთად ხშირად ფაღარათიც ემართება და ცურის ზედაპირზე, ჩლიქების გვირგვინზე და ჩლიქთა შუა ნაპრალის (გახეთქილობის) კანზე ისეთივე ბუშტები უჩნდება, როგორიც პირის ღრუს ლორწოიან გარსზე და სხვაგან. ეს ბუშტები ბოლოს და ბოლოს აქაც სქდებიან. იარებად იქცევიან და 1-2 კვირაში რჩებიან.

თუ ჩლიქებზე სიბინძურის და დაუბანლობის გამო თურქული გაუზიანდა ცხოველს, შესაძლებელია ეს გაზიანება ანთებათ გადაექცეს მას და ჩლიქები სავსებით მოსძვრეს.

ჩლიქების თურქულით ავადმყოფობის დროს ტკივილების გამო ცხოველს სიარული არ შეუძლია და უმეტეს ნაწილად იგი წევს.

თურქული ერთი ცხოველიდან მეორე ცხოველს ემართება საერთო საძოვარის, ერთი როფიდან წყლის დალევნების, საკვების, ნეხვის, ავადმყოფ ცხოველებთან მეზობლობის, ნედლი ტყავებისა, მატყლის და რძის საშუალებით.

თურქულიანი საქონელი თუ კარგ გიგიენურ პირობებში იმყოფება, ავადმყოფობა 2-3 კვირაში თავისით ისპობა და 6 კვირაზე მეტი მაინც არასოდეს იგი არ გრძელდება. ხოლო თუ ასეთ პირობებს ადგილი არ ექნება, მაშინ თურქული ხშირად უფრო სუსხ ფორმას ღებულობს, უკვე აღწერილ ნიშნებს ფილტვების, თავის ტვინის და კუჭ-ნაწლავების ანთება და ამავე ორგანოებში და სასულესა და საყლაპავში იარების გაჩენა ემატება და გაგუდვისა და სისხლის მოწამვლისაგან დიდი რიცხვი საქონლისა იღუპება.

(გაგრძელება იქნება).

ვეტექიმი ფარეიშვილი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **წითელი არმიისა და ფლოტის სახლის განყოფილება.** 1-ლი ქართ. დივიზიონტგანყოფილება ამ ჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს წითელი არმიისა და ფლოტის სახლთან განყოფილების (სექციის) გახსნის შესახებ წითელ არმ. ცენტ. კლუბთან.

— **წითელი ჯვრის სამდღეული.** საქ. კომისართა საბჭომ ნება დართო წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტს 2, 3 და 4 მარტს რესპუბლიკის ფარგლებში ჩაატაროს თავის ღონისძიებათა გასაძლიერებლათ სამდღეული.

— **გადასახადის პირადობის მოწმობებზე.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შემოიღოს პირადობის მოწმობებზე 5 კაპეიკიანი გადასახადი საქ. წითელი ჯვრის სასარგებლოთ.

— **მეაბრეშუმეთა საზოგადოება.** საქართველოს სახალხო კომის. საბჭომ დაამტკიცა საქ. მეაბრეშუმეთა საზოგადოების „აბრეშუმის" წესდება.

— **გლეხთა სახლი.** სახკომსაბჭომ დაამტკიცა ტფილისში გლეხთა სახლის მოსაწყობათ და წლის ბოლომდე შესანახათ ხარჯთაღრიცხვა 37.021 მანეთის რაოდენობით.

— **წარმოებათა ელექტროფიკაცია.** სახკომსაბჭომ ნება დართო ქალაქის აღმასკომს აიღოს მილიონ ნახევარი გრძელ ვადიანი სესხი თავის წარმოებათა ელექტროფიკაციისათვის.

— **ახალი ჰაეროპლანის შეძენა.** საქ. საჰაერო ფლოტის საზოგადოებამ გადაწყვიტა შეიძინოს კიდევ ერთი ჰაეროპლანი.

— **წყლის მიწოდება ქალაქისათვის.** გასული წლის განმავლობაში ავჭალის წყალსადენს მიუწოდებია ქალაქისათვის 457.479.272 ვედრო წყალი.

— **ახალი ტურქული ანბანი.** საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ტურქული ახალი ანბანის პროექტი.

# ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲡ.

ძვირფასო ამხანაგებო!

„სამხედრო უწყების" (Военный Вестник) პასუხის[მგე]ბელმა რედაქტორმა ამხ. იაკირმა ჟურნალის № 32-ში წერილით მიმართა ყველა 1924 წ. გამოშვებულ წითელ მეთაურ[ებს], რომელშიაც აღნიშნავდა ახალგაზრდა მეთაურთა მხრივ „ს[ამ]ხედრო უწყების"-ათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის ს[აჭი]როებას.

ზოგადად წერილში იყო აღნიშნული, რომ თვითეუ[ლი] ახალგაზრდა მეთაური უნდა გახდეს „ვოენი ვესტნიკის" [მკითხვე]ლის მომწერიო.

რომ ეს ამხ. იაკირსაც არ აღენიშნა თავის მომართვა[ში], ყველა ჩვენთაგანი, ყველა ახალგაზრდა მეთაურები, მოვალ[ენი] უნდა რაცხდეს თავის თავს საათახადო წვლილი შეიტან[ონ] ჩვენს სამხედრო აზროვნების წინ წაწევაში, მის გაძლიერე[ბა]ში და ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ გამ[ო]ვიწერთ ამ ჟურნალს და მისი საშუალებით გავეცნობით [...]დებით, გავაფართ ვებთ ჩვენს სამხედრო თვალთახედვის არ[ეს] და სამხედრო ხელოვნებაში ჩვენც შევიტანთ ჩვენს წვლილ[ს].

ჩვენ გვჯერა რომ თვითეული ჩვენი სკოლის შვილი ამ აზრით იქნება გამსჭვალული.

ჩვენ სკოლაში მყოფ (სკოლიდან გამოშვებულ) მეთა[უ]რებმა მოვაწყვეთ კოლექტიური ხელის მოწერა „ვოენი ვე[ს]ტნიკზე" ერთი წლის ვადით.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვარ[თ], რომ თქვენც არ ჩამორჩებით ამ საქმეში.

ჩვენის აზრით, კოლექტიური ხელის მოწერა უფრო [...]ზან შეწონილი იქნება.

გვაცნობეთ საჩქაროთ, რამდენი კაცი გამოიწერს თქვ[ენი] ნაწილიდან და სახელდობრ ვინ, ჟურნალ „ვოენი ვე[სტ]ნიკს".

კომუნისტური სალამით—სკოლიდან გამოშვებულ მე[თა]ურებთან კავშირის სექტორის დაავალებით შელ[...]

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძ[ე]

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙ[Ო]ᲚᲘᲡ № 3 ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ[პარ]ტიაში წევრად და კანდიდატად მიღების შესახებ, შემ[დეგ] ამხანაგებს:

1. ილია ოლიფანტეს ძე **რაზმაძეს.** (კომპარტიის კანდ[ი]დატია).
2. კლიმენტი მიხეილის ძე **ვაჩიბერაძეს.**
3. აბესალომ აქვსენტის ძე **იოსავას** (უპარტიოებია).

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3 [კომუჯ]რედის პრეზიდიუმი გთხოვთ, თუ ვინმემ იცით რაიმე უ[არ]ყოფითი მხარეები აღნიშნულ ამხ. შესახებ, გვაცნობეთ ათი დღის განმავლობაში წერილობითი ან სიტყვიერად.

მისამართი ქართულ გაერთიანებული მეთ. სკოლის №[3] კომუჯრედის პრეზიდიუმი.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

## ყველა ნაწილების — ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲛᲔᲑᲡ.

ა. წ. 5 თებერვალს, ხუთშაბათს, 18 საათზე, წითელ [არ]მიის და ფლოტის სახლში შესდგება ტფილისის რაიო[ნში] მდგომ ყველა ნაწილების სასკოლო პროპაგანდის მუშაკ[ების] თათბირი.

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:**

1. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მასწავლებელთა 1-[ლი] ყრილობის და სამხედრო დელეგატების თათბირის სახებ.

მომხსენებელი ამხ. **დოლგოპოვოლი.**

თათბირზე სავალდებულოა გამოცხადდეს ნაწილების მას[წავ]ლებლები თავის თანაშემწეებით, პოლიტ-ხელები და ჯგუ[ფების] ხელმძღვანელები.

პოლიტ-განყოფილების უფროსის მოადგილე

**სიხარულიძ[ე]**

# განცხადება.

ხუთშაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, პოლ[იტ]განყოფილების შენობაში დანიშნულია პოლიტ-ხელების, მეჯგუფეების, მდივნების და პარტიის რიგის წევრების თათბირი.

1-ლი ქ. მ. დ. პ.-გ. საორგ. ნაწ. უფ. ლომაია.
პარტ-აღმშენ. ინსტრუქტ. პატარაი[ა]